ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის დავით ჭაკნელიძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

(უფლებამოსილების ცნობის დღიდან (2015 წლის 25 აგვისტოდან) დღემდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ)

2015 წლის 25 აგვისტოდან ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე. კომისია მუშაობს საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტათა შესრულებისთვის ხელის შეწყობის, გამგეობის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 21 სხდომა, აქედან 8 ჩემი თავმჯდომარეობით, ხოლო ორი სხდომა ერთობლივად სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისასთან ერთად, სხდომების დროს განხილული იქნა ? საკითხი.

საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: კომისია მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების მონაწილეობით ცდილობს გამოხატოს მოსახლეობის ამა თუ იმ ფენისა თუ ჯგუფის ინტერესები. როგორც მოგეხსენებათ ამ ინტერესის ასახვისა და დაბალანსებისთვის საჭიროა რაციონალური მიდგომა და აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან მოსახლეობის საჭიროებას მორგებული არგუმენტირებული, შედეგზე გათვლილი პროექტების მომზადება. წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისგან შემოსული, კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხების ჩამონათვალი ძირითადად შეეხება:

- ✓ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების და იჯარით გასაცემი ობიექტებიის ნუსხის დამტკიცებას, ან სარგებლობის უფლებით გადაცემას, ამ გადაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემას, მუნიციპალიტეტი

ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის განხილვა-დამტკიცებას და ა.შ

ამ საკითხების განხილვისას ნუსხაში შეტანილი ობიექტების შესახებ მეტი ინფორმირებულობის მიზნით, კოორდინირებულად ვთანამშრომლობდით კოლეგებთან. უფრო მეტიც, მიზანშეუწონლად მივიჩნევდით და ამოღებული იქნა კიდეც დღის წესრიგიდან პროექტი, რომელიც მსგავსი თანამშრომლობით არ მომზადდა. ვფიქრობ ეს კარგი ტრადიციაა, რომელიც მიღებული გადაწყვეტილების ეფექტურობას ზრდის და შედეგიანი იქნება შემდეგშიც.

სამომავლოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმდინარე, აუცილებლობით გამოწვეული საკითხების განხილვის პარალელურად უნდა გაიზარდოს ინიციატივები, მომზადდეს პროექტები, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაშიც შედეგს მოგვცემს. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ვრცელ ჩამონათვალში, რაზეც კომისიამ უნდა იმუშაოს არის მაგალითად: ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების პროექტების დამტკიცება, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, წყლის რესურსების მართვის წესების დადგენა,თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული კომუნალური მეურნეობის მართვის წესების დამტკიცება და ა.შ. ვფიქრობ მეტი ინოვაციურობა გვმართებს.

კომისია განიხილავდა შემოსულ კორესპოდენციებს. ამზადდებდა პასუხებს, ისმენდა აღმასრულებელი ორგანოს სამსახურების ანგარიშებს, აფასებდა მათ მუშაობას. აქტიურად მონაწილეობდა ახალი ბიუჯეტის პროექტის ფორმირების ყველა ეტაპზე. აქვე დავძენ, რომ კოლეგებთან ერთად მხარს ვუჭერთ პროგრამული ბიუჯეტის შემოღების ინიციატივას. კომისიამ შეიმუშავა 2016 წლის სამუშაო გეგმა, რომლის ფარგლებში მოხდა დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნა: აგრარულ საკითხთა სამუშაო ჯგუფი (უფროსი:ნუგზარ კალანდარიშვილი), ქონების მართვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი (უფროსი: ვახტანგ ნიჟარაძე), ბუნებრივი რესურსების საკითხთა სამუშაო ჯგუფი (უფროსი: ბიძინა გობრონიძე).

ვიმედოვნებ, რომ აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია წლის შემაჯამებელ ანგარიში ვრცელი და უფრო საქმიანი იქნება.

კომისიის თავმჯდომარე: **დ.ჭაკნელიძე**